29/04/2021

საქართველოს თავდაცვის ძალები 30 წლისაა

საქართველოს თავდაცვის ძალების დაარსებიდან 30 წლისთავთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო თავდაცვის მინისტრი, ბ-ნი ჯუანშერ ბურჭულაძე, მისი მოადგილე, ბ-ნი დავით სუჯაშვილი და გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე, ბატონი ჯონი ტატუნაშვილი.

მისმა უწმიდესობამ დალოცა სტუმრები, დალოცა ქართული ჯარი, ვეტერანები, სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლები და ჩვენს ქვეყანას მშვიდობა და ბედნიერი აღდგომა უსურვა.

patriarchate.ge